

ଲୋ. ମାର୍ତ୍ତିନା ପତ୍ରିକା

ଶାରତବେଳି
ମନ୍ଦିରାଶକ
କାନ୍ତର୍ଗତ
ଭାବିତେବାପିକୁଳି



ଟ୍ରେନ୍‌ରୂପ ଓ ଉଚ୍ଚନ୍ତିତ - 1986



ଶିଳ୍ପିରବାନୀରେ


ლევან გარეაზილი

ესათველი მოგზაური
რაფილ ღანიბეგაშვილი
და
მისი ცხოველი იდოვეთის, გირმისა
და ჩინეთის გისახე

1908



გევორგა და მარია
თბილისი 1956



შ ე ს ა ვ ა ლ ი

ინდოეთის მრავალფეროვანი ბუნება, იქაური მშვიდობისმოყვარე და შემოქმედი ხალხი ყოველთვის იშვევდა ქართველთა ინტერესა და სიმპატიას.

დიდმა შოთამ თავისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოელებად და-სახა და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნა ინდოეთის ხალხისაღმი სიყვარულის ტრადიციას საქართველოში.

საშუალო საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობაში იყოფებოდა ინდოეთთან. იალქნიანი ხომალდე-ბითა და აქლემთა ქარავნებით მოდიოდა ჩვენში ინდოეთის ნაქები საქონელი—ქალალი და მელიკამენტები, იარაღი და თოფის წამა-ლი, ინდის ხურმა და იაგუნდი, დარიჩინი და ალმასები, ლაბლაბო და ქიშმირის შალი. საქართველოდან ინდოეთში გაპქონდათ მატყლი, სანთელი, საპონი და სხვ.

იმ ადამიანთა შორის, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა სა-ქართველოს ინდოეთთან აკავშირებს, ყურადღებას იპყრობს რა-ფიელ დანიბეგაშვილი, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში ხანგრძლივად იმოგზაურა სამხრეთისა და ცენტრალური აზის ქვეყ-ნებში და ამ მოგზაურობის შესახებ ფრიად საინტერესო წერილო-ბითი ძეგლი დაგვიტოვა.

კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინა-ხება რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნი, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვ-ში 1815 წელს, სათაურით: „Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибекова“. ეს პატარა წიგნი, რომლის რედაქტორია მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი

დვიგუბსკი¹, მოგვითხრობს ქართველი კაცის საკვირველ თავგადა-სავალს მსოფლიოს უდიდესი კონტინენტის თვალუწვდენელ სიკრ-ცეზე.

დანიბეგაშვილის შრომა ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო როგორც ქართველთა მიერ მსოფლიო სამოგზაურო-გეოგრაფიულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილი, არამედ როგორც დიდი რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის ბრწყინვალე ძეგლიც.

ძველი საქართველო სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. ქართველი ვაჭრები ხშირად მოგზაურობდნენ შორეულ მხარეებში; საქარავნო და საზღვაო გზებზე მათ მრავალი ხიფათი და სიძნელე უდარაჯებდა. მათი წარმატებით დაძლევისათვის ვაჭარი დიპლომატიც უნდა ყოფილიყო და მეომარიც, ენითაც უნდა გაეკათა გზა და ხმლითაც. ასე ჩამოყალიბდა საქართველოში უცხოეთთან მოვაჭრე მთელი გვარეულობანი, რომლებსაც თავისი ტრადიციები ჰქონდათ მოგზაურობის დარგში.

ერთერთ ასეთ გვარს ეკუთვნოდა რაფიელ დანიბეგაშვილიც, რომლის წინაპრებსაც არაერთხელ უტკეპნიათ აზის გზები და გადაუსერავთ ინდოეთის ოქეანე. რაფიელის მამა იოსებ დანიბეგა-შვილი ხშირად დადიოდა ინდოეთში სავაჭროდ და ერეკლე მეფის დიპლომატიური დავალებების შესასრულებლად². საფიქრებელია, რომ რაფიელი სიყრმიდანვე უნდა შესჩვეოდა ვაჭარ მოგზაურის ძნელსა და საშიშ-საქმეს, რამაც იგი შემდეგში მრავალ ზღვასა და ქვეყანაზე ატარა, სანამ ჭალარა კრემლის კედლებთან მიიყვანდა.

რაფიელ დანიბეგაშვილის ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც მან საქართველოში გაატარა და აგრეთვე მისი ცხოვრების უკანასკნელი, რუსეთში გატარებული პერიოდიც ჯერჯერობით არ არის სასურველი სიზუსტითა და სისრულით შესწავლილი. უეჭველია, რომ მოსკოვის არქივებში ქართველი მოგზაურის შესახებ გარკვეული მასალა უნდა ინახებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ძებნი-

¹ ივანე ალექსის-ძე დვიგუბსკი (1771—1839 წ. წ.) ბუნებისმეტყველი, რომელიც ავტორია მრავალი შრომისა ფიზიკაში, ზოოლოგიასა და ქიმიაში.

² ქ. თბილისში, სამისამართო მაგიდის ცნობით, დანიბეგაშვილის გვარს არავინ ატარებს. დანიბეგაშვილები (ქართველი კათოლიკენი) დღემდე ცხოვრობენ მესხეთში (ახალციხის რაიონში). საფიქრებელია, რომ ჩვენი მოგზაურიც წარმოზობით მესხი კათოლიკე უნდა ყოფილიყო.

სათვის ხელი არავის მოუკიდია. ცნობილია, რომ დანიბეგაშვილე. ბის გვარს ქართველ მეფეთაგან აზნაურთა წოდება ჰქონიათ ბოძებული. რაფიელის მამა იოსები ერეკლე მეფისაგან შემოღებულ ვრთერთ სამხედრო ტიტულს (ხუთასის თავის წოდებას) ატარებდა. ეს გარემოება მტკიცდება რაფიელ დანიბეგაშვილის ხელწერილოთ, რომელიც მას მიუცია ინდური ვალიუტის—რუპიების მისაღებად ვინმე დეკანოზ ტერ-დავითასათვის. არსებობს მეორე საბუთიც— მეფე გიორგი XII-ის მიერ რაფიელ დანიბეგაშვილისადმი ნაბოძები წყალობის სიგელი, რომლიდანაც ჩანს, რომ იგივე თანამდებობა—ხუთასის თავობა აღნიშნულ მეფეს რაფიელისათვის მიუნიჭება, ინდოეთში მეორედ გამგზავრების წინ.¹ იმავე საბუთებიდან ჩანს ისიც, რომ დანიბეგაშვილებს მეფეთაგან ნაჩუქარი მამულები ჰქონიათ თბილისში, სახელდობრ ლურჯმონასტრის მახლობლად ახლანდელ ვერაზე; რაფიელის დედას როზა რქმევია სახელად, და გიორგი მეფისაგან მიღებული წყალობის სიგელი რაფიელს ინდოეთში წასვლისას თავად ეგნატე თუმანიშვილისათვის მიუბარებია. ამით და უშუალოდ აზიაში მოგზაურობასთან დაკავშირებული ამბებით ამოიწურება რაფიელ დანიბეგაშვილის სადლეისოდ ცნობილი ბიოგრაფია.

რა იყო დანიბეგაშვილის მოგზაურობის გამომწვევი მიზეზები, როგორი მარშრუტი განვლო მან შორეულ ქვეყნებში, რა ცნობები დაგვიტოვა მათ შესახებ და რა მნიშვნელობა აქვთ ამ ცნობებს გეოგრაფიული ცოდნისა და ქართული და რუსული კულტურის ისტორიაში? ყველა ამ საინტერესო საკითხზე პასუხის გაცემისას ჩვენ განსაზღვრულ სიძნელეს ვხვდებით მათი არასაკმაო შესწავლილობის გამო.

¹ ორივე დასახელებული საბუთის სრული ტექსტი გამოქვეყნებული აქვს სოლ. ითრდანიშვილს დანიბეგაშვილის წიგნის ქართულ გამოცემაში. რაფიელის მიერ დეკანოზ ტერ-დავითასაგან მიღებულ ინდურ ფულზე გაცემული ხელწერილი დაცულია საქართველოს საარქივო სამმართველოში, სუქართველოს უმაღლესი მართვებლობის ბრძანებით XIX ს. გადაწერილ საბუთებს შორის. დავთარი 25, საბუთი 100. გიორგი XII-ის სიგელი ინახება ლენინგრადში, მ. ბროსეს არქივში.





მოგზაურობის გიზანი

არსებობს ნაშრომები, რომლებშიც განხილულია რაფიელ დანი-ბეგაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის მისი მოგზაურობის მიზეზების საკითხიც. ლავასახელებთ, მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძის, ტრიფონ რუხაძის, სოლომონ იორდანიშვილის ნაშრომებს, რომლებმაც გამოავლინეს წარსულის არქივიდან ამ შესანიშნავი ქართველი მოგზაურის ნამოქ-მედარი!

არსებული ლიტერატურული და საარქივო წერილობითი საბუ-თების მიხედვით დანიბეგაშვილის აზიაში მოგზაურობის მიზანი შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

პირველადი. წყაროები დანიბეგაშვილის მოგზაურობის შესახებ არის მისი საკუთარი წიგნი და ორი ხელნაწერი საბუთი, რომელ-თაგან ერთი თვით რაფიელის ხელწერილს წარმოადგენს, ხოლო მეორე გიორგი XIII-ის მიერ შოძებულ სიგელს.

¹ იხ. ა) ზ. ჭიჭინაძის წიგნი: „საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკონ“, ტფილისი, 1900;

ბ) ტრ. რუხაძე. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბილისი; გ) სოლ. იორდანიშვილის წინასიტყვაობა რაფიელ დანიბეგაშვილის „ინ-დოეთში მოგზაურობის“ ქართულ გამოცემისა. თბილისი, 1950. იხ. აგრეთვე: A. Эрицков. Индийские богатые завещания. Газета Кавказ, 1883, № 81, 83, 94, 100. ზოგადი დახასიათება მოგზაურობისა მოცემული აქვს გრ. ზარდალიშვილს ნარკვევში „გეოგრაფიული აზროვნების ისტორიიდან საქართველოში“ (იხ. გ. გერ-მანის წიგნში „ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან“, თბილისი, 1955, გვ. 437 — 442).

ამ საბუთებიდან ირკვევა, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ რაფიელ დანიბეგაშვილს ინდოეთში ორჯერ უმოგზაურია — პირველად ერეკლე II დავალებით 1795 — 98 წლებში და მეორედ ერეკლეს მემკვიდრის გიორგი XIII-ის დავალებით 1799—1813 წლებში. ეს გარემოება უშუალოდ არსად არ არის აღნიშვნული, მაგრამ იგი მტკიცდება ზემოჩამოთვლილ წყაროებში დაცული ცნობების ურთიერთშებირისპირებით. დანიბეგაშვილის პირველი გამგზავრება ერეკლეს დავალებით ინდოეთისაკენ, მისივე წიგნის თანახმად, 1795 წლის 15 მარტს მომხდარა; 1799 წლის შემოდგომაზე (14 სექტემბრის შემდეგ) მას უკვე გიორგი XIII აგზავნის ხელახლა ინდოეთში, ამიტომაც სარწმუნოდ გვეჩვენება ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა იმაზე, რომ რაფიელი თავისი პირველი მოგზაურობიდან საქართველოში 1798 წელს უნდა დაბრუნებულიყო. დანიბეგაშვილის წიგნის წინასიტყვაობაში, რომლითაც ავტორი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I მიმართავს, ნათქვაშია, რომ დანიბეგაშვილმა „ინდოეთსა და მის გარშემო მდებარე ვრცელ ქვეყნებში“ 18 წელი იმოგზაურა. ცხადია, აქ ნაგულისხმევია ორივე მოგზაურობის მთლიანი ხანგრძლიობა და, ამრიგად, მეორე მოგზაურობაში რაფიელს 14—15 წელი გაუტარებია.

თუ ეხლა განვიხილავთ საკითხს რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის მიზანდასახულობის შესახებ სადღეისოდ გამომზეურებული მასალების საფუძველზე, შემდეგ დასკვნებს გამოვიტანთ. რაფიელ დანიბეგაშვილი არ ყოფილა თბილისელ ვაჭართა რიგითი წარმომადგენელი და მისი მოგზაურობანი პოლიტიკურ მიზნებს უფრო ისახავდნენ, ვიდრე კომერციულს. როგორც საბუთებიდან და წიგნიდან ჩანს და გაშუქებულია მეცნიერულად თანამედროვე მკვლევარების (ზ. ჭიჭინაძის, ტ. რუხაძის, ს. იორდანიშვილის) მიერ, ერეკლე მეფის დავალებით შესრულებული პირველი მოგზაურობის დროს დანიბეგაშვილის მიზანს წარმოადგენდა დაკავშირება ინდოეთის ქალაქში მცხოვრებ მდიდარ სომეხ ვაჭარ შამირ-ალასთან ანუ იაკობ შახერიმიანთან (უფრო სწორედ შაპამირიანთან), ერეკლე მეორის მიერ სოფელ ლორის ბოძების სიგელის გადაცემის საბაზით. სინამდვილეში, როგორც ეს გამორკვეულია სომეხი ისტორიკოსებისა და ზაქარია ჭიჭინაძის გამოკვლევებით, დანიბეგაშვილს მოგზაურობისათვის გაცილებით უფრო სერიოზული ამოცანები ამოძრავებდა.

აგზავნიდა რა რაფიელ დანიბეგაშვილს ინდოეთში, ერეკლე აკისრებდა მას ფრიად მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებათა

შესრულებას, რომლებიც გამიზნული იყო საქართველოს და მისი მოძმე სომხეთის პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ვითარების მტკიცნეულ საკითხთა მოგვარებისაკენ.

ცნობილია, რომ ერეკლეს, რომელსაც მისი ხანგრძლივი მეფობას განმავლობაში ხელიდან არ გაუშვია აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროს დასაცავად ამოწვდილი ხმალი, ადრევე ჩააწვეოს ყურში რომელიმე ძლიერ ევროპულ სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირის დამყარების იდეა. გარდა რუსეთისა, რომელთანაც საქართველოს მეფებსა და მთავრებს უკვე XVI საუკუნიდან ხშირი მიმოწერა და ელჩიბები ჰქონდათ ქართველი ხალხის ბედთან დაკავშირებით, ამგვარ პოტენციურ მოკავშირედ ისახებოდა ინგლისის კოლონიური იმპერია. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის შვილი და ცნობილი მეცნიერის ვახუშტის ძმა პაატა ბატონიშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრება მტკვრის რიყეზე დაამთავრა ერეკლეს მართლმსაჭულების ხმლის ქვეშ, მიისწრაფოდა საქართველოს ინგლისთან დაახლოებისაკენ. შემდეგში, როდესაც პაატა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო უკვე, იგივე იდეა ერეკლეს სხვებმა შესთავაზეს.

შუამავლობა ერეკლე მეფესა და ინგლისის მთავრობას შორის იყისრა ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებულმა მდიდარმა სომეხმა ვაჭარმა, სომხეთის ოვალსაჩინო პატრიოტმა იაკობ•შახრიმიანმა ანუ შამირ-ალამ. დასახულ იქნა ერეკლეს სკიპტრის ქვეშ საქართველოსა და სომხეთის მთლიან ქრისტიანულ სახელმწიფოდ გაერთიანებისა და ევროპული ყაიდით კეთილმოწყობის პროექტი. სწორედ ამ პროექტის განხორციელების ამოცანას ემსახურებოდა რაფიელ დანიბეგაშვილის პირველი მოგზაურობა ინდოეთში 1795-98 წლებში.

რაც შეეხება მეორე მოგზაურობას, რომელიც უკვე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ იქნა დაწყებული, მისი ჭეშმარიტი მიზანდასახულობა ამჟამად სათანადო სიზუსტით გამორკვეულად ვერ ჩაითვლება. გიორგი XII-ის წყალობის სიგელიდან გამომდინარეობს, თითქოს ამ მოგზაურობას და რაფიელის პირველ მოგზაურობას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდათ: „და შენ რაფიელა ამჟამად ინდოეთს გაგზავნით შამირალას შვილთანა, — ამბობს სიგელში გიორგი მეფე — რადგანაც მამაშენი კურთხეულის მამის ჩვენის სამსახურისათვას ინდოეთს რამდენჯერმე წარგზავნილიყო, შენც იმავეს სამსახურზედ ინდოეთს გაგზავნით“. მაგრამ ასეთი დასკვნა

შეოლოდ ნაწილობრივ ხსნის საკითხს დანაბეგაშვილის მეორე, ხანგრძლივი მოგზაურობის გამომწვევ მიზეზზე.

გიორგი მეფის სიგელში აღნიშნული დავალება ვერ განმარტავს იმ ფაქტს, რომ დანიბეგაშვილი 15 წლის განმავლობაში მოგზაურობს სამხრეთისა და ცენტრალურა აზის ქვეყნებში. მაღრაბში ჩასვლის შემდეგ იგი რატომდაც სამშობლოში კი არ ცდილობს დაბრუნებას, არამედ მიემგზავრება ბრძმაში, შემდეგ ისევ ინდოეთში ბრუნდება, ქალაქიდან ქალაქში გადადის და საბოლოოდ რუსეთში ამთავრებს თავის ხანგრძლივ მოგზაურობას. თვით დანაბეგაშვილი თავის წიგნში არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა იგი ბრძმაში ან შემდგომ ინდოეთში მოგზაურობისას, რა საქმიანობას ეწეოდა, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა. ცხადია, რომ გადრასიდან წასვლის მომენტში დანიბეგაშვილი ხელმძღვანელობდა უკვე არა გიორგი მეფის დიპლომატური დავალებით, არამედ სხვა მიზნებით. იმის გასაგებად, თუ სახელდობრ რა ამოცანები ჰქონდა დასახული ქართველ მოგზაურს, ჩვენის აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტებს. როგორც ცნობილია, დანიბეგაშვილი ინდოეთში დიდხანს ყოფნის შემდეგ ჩინეთის დასავლეთ ნაწილში (სინძიანის პროვინციაზე) გავლით რუსეთში მივიდა, აქ კარგად ცქნა მცდებული რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციისა და მთავრობის მიერ; მან დაბეჭდა მოსკოვში, რუსულ ენაზე, ინდოეთში და აზის სხვა ქვეყნებში მოგზაურობის აღწერილობა, რომელიც გამსჭვალულია ინდოეთში ცნგლისის .ძალაუფლების საწინააღმდეგო სულისკვეთებით და შეიცავს სამხედრო და ეკონომიურ-სტატისტიკური ხასიათის ცნობებს. ინგლისელთა კოლონიალური პოლიტიკის შესახებ სამხრეთ აზიაში.

ყოველივე ეს საფუძველს იძლევა იმის საფიქრებლად, რომ დანიბეგაშვილი თავისი მეორე, ხანგრძლივი მოგზაურობის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ემსახურებოდა უკვე ჩრდილოეთის იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომელსაც მისმა სამშობლომ 1801 წლიდან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი. თუ ეს ასეა და საარქიკო საბუთები ოდესმე დაადასტურებენ რაფიელ დანიბეგაშვილის მიერ სამხრეთისა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის პოლიტიკური დავალებების შესრულებას, მაშინ ამ ქართველი მოგზაურის პიროვნება თანაბარი მნიშვნელობისა იქნება როგორც საქართველოს, ისევე რუსეთის ისტორიისათვის.

ისეთი აღამიანების პლეადას, როგორიც იყო ინდოელი ნაინ-

სინგი ან ბურიატი ციბიკოვი, ემატება ქართველი მოგზაური-მზვე-
რავი რაფელ დანიბეგაშვილი, რომელიც 15 წლის განმავლობაში
გაშრის ნიღბით აკვირდებოდა ინგლის-რუსეთის პოლიტიკური
ინტერესების შეჯახების სფეროს აზიაში. დანიბეგაშვილის ცხოვ-
რების გზა რამდენადმე მიემსგავსება მეორე ქართველი მოგზა-
ურის იონა გედევანიშვილის ბედს. ოუმცა გედევანიშვილი სასუ-
ლიერო წოდებას ექუთვნოდა და დანიბეგაშვილისაგან განსხვავე-
ბით იგი რუსეთში დასავლეთიდან (ევროპიდან) მოვიდა.





გოგზაშრობის მარჯრუტი და ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ დანიბეგაშვილი თვის წიგნში საკმაოდ ლეტალურად აღწერს მოგზაურობის მიმართულებას, ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ ზოგიერთ გუშებრობას აქვს აღვილი.

დანიბეგაშვილის მიხედვით, იგი თბილისიდან ახალცახეში ვამ-გზავრებულა¹, ხოლო იქიდან ქალაქებზე — არზაუმზე, მუშზე², მარ-ლინზე (მერტინი), დიარბექირზე (ტიარბექირი), მოსულზე და ბალ-ადზე გავლით მისულა სპარსეთის უბის ნაპირთან მდებარე ქ. ბას-რაში, სადაც მისი მარშრუტის პირველი სახმელეთი ნაკვეთი დამ-თავრებულა. მარშრუტის ამ ნაწილის დახასიათებისას დანიბეგა-შვილს მცირედი შეცდომა უნდა ჰქონდეს დაშვებული, სახელ-დობრ არეულია პუნქტების თანმიმდევრობა (გამოდის, თითქს ქ. მარტინი დიარბექირსა და მოსულს შორის არ მდებარეობს).

ბასრადან დანიბეგაშვილი ხომალდით მიემგზავრება ინდოეთი-საკენ. შეჰერაზადას ზღაპრებით უკვდავყოფილ ამ საზღვაო მარ-

¹ დანიბეგაშვილის მარშრუტის გასარკვევად გისარგებლეთ შემდეგი მასალე-ბით: ა. კარტოგრაფიული მასალები (Большой всемирный атлас Маркса; Атлас мира 1954 г.; Атлас командира РККА и т.д.) и д. ლიტერატურული მასალები (Большая Советская энциклопедия) იმივე გამოცემა. შ. დობბი. Юго-восточная Азия, 1952; Белью. Кашмир и Кашгар (дневник английского посольства в Кашгар в 1873—74 гг. Санктпетербург, 1877; Б. Келлерман. Малый Тибет. Индия, Сиам. М.—Л., 1930; А. Е. Снесарев; Северо-Индийский театр (военно-географическое описание). 1. — П. Ташкент, 1903.

² მუშსა და მარდინს შორის დანიბეგაშვილს გაუვლია ქალაქები არდანა და ფადა. პირველი მათგანი მდ. ტიგროსის სათავეებთან მდებარეობს. რაც შეეხება ფადას, იგი დღეს ალარ უნდა არსებობდეს, — თვით დანიბეგაშვილისვე ცნობით ეს ქალაქი XIX საუკ. დასაწყისში მიწისძვრამ დაანგრია.

ჟრუტზე იგი ჩერდება მასკატში (არაბეთის სანაპიროზე), ბომბე-იში, კოლომბოში (ცეილონზე), მანარში (იმავე კუნძულზე), პონდი-შერში („ბონდიჩერი“) და აღწევს ქ. მადრასს. მარშრუტის ამ მეო-რე ნაკვეთის აღწერილობაში რამდენადმე დამახინჯებულია ქალაქ თრაქებერის სახელშოდება. ამ ქალაქის ადგილმდებარეობა მხატვარ გიორგი ნათიძის მიერ დახატულ სქემაზე, რომელიც დართულია აქვს სოლომონ იორდანიშვილის რედაქტორობით გამოცემულ ქარ-თულ თარგმანს რაფიელ დანიბეგაშვილის თხზულებისას, აღნიშნუ-ლია პონდიშერის სამხრეთით.¹ არსებული გეოგრაფიული რუკების მიხედვით თრაქებერი ქ. ტრანკებარი უნდა იყოს.

მადრასიდან დანიბეგაშვილი კვლავ ხომალდით მიემგზავრება ქ. რანმენისაკენ ანუ ბეკასაკენ. სოლომონ იორდანიშვილს, როგორც ზემოხსენებული სქემა გვიჩვენებს, ეს ქალაქი ინდოსტრიანის ნახე-ვარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეგზულება მაღრასსა და კა-ლკუტას შორის². სინამდვილეში დანიბეგაშვილი ბირმის დედაქა-ლაქზე ლაპარაკობს. სხვა რანგუნი არ არსებობს და, ამას გარდა, დანიბეგაშვილის ყველა ცნობა მის მიერ გაცნობილ ქალაქის თავი-სებურებათა შესახებ—მაგალითად, ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მო-სახლეობის ხასათზე და პოლიტიკურ მდგომარეობაზე სწორედ ბირმის ამ ქალაქზე მიგვითიერებს. მაღრასიდან გამგზავრებული და-ნიბეგაშვილი რანგუნში ერთბაშად არ მოხვედრილა, ქარიშხალმა აიძულა ხომალდი თავი შეეფარებინა მუშლო-ბანდარის, როგორც რაფიელი უწოდებს (უნდა იგულისხმებოდეს მასული-პატამი) ნა-ვთსაღგურში. გადაკვეთა რა ბენგალის უბე, მოგზაური მივიღა რა-ნგუნში და, დაპყო რა აქ განსაზღვრული ხანი, საზღვაო გზითვე გა-მობრუნდა რნდოეთისაკენ და კალკუტაში საბოლოოდ დაამთავრა საზღვაო მოგზაურობა.

რანგუნიდან კალკუტაში მგზავრობის მარშრუტი ძნელი გასარ-კვევია, კერძოდ უცნობი რჩება რაობა ქალაქ ბაჰარკანისა, რომელ-შიც მოხვდნენ დანიბეგაშვილი და მისი თანამგზავრები ბენგალის უბის აბობოქრებულ ტალღებზე გავლილი გასაჭირის შემდეგ. შე-

¹ რ. დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში. თარგმანი, შინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ ს. იორდანიშვილისა, თბილისი, 1950,

² დანიბეგაშვილის ქართული გამოცემის კომენტარებში ს. იორდანიშვილი ბეკას ანუ რანგუნს აიგივებს რანგაურთან (ამ სახელშოდების ქალაქს იგი ორგან გვიჩვე-ნებს კალკუტის ჩრდილო-აღმოსავლეთით ასამსა და ბენგალიაში და ამრიგად ეწინააღმდეგება იმავე შიგნიერ დართულ სქემას).

საძლებელია აქ ეხლანდელი ნავთსადგური ბაზარკოქსა იგულისხმებოდეს.¹

კალკუტიდან, რომელსაც რაფიელი „კალკადას“ უწოდებს, იწყება ჩვენი მოგზაურის მარშრუტის მეორე და საბოლოო სახმელეთო ნაკვეთი. ამ მარშრუტის საწყისი ნაწილი გადის ინდოეთის ყველაზე უფრო ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ ნაწილზე, რომელსაც მდინარე განგესის ვრცელი ალუვიური ვაკე უკავია. დანიბეგაშვილმა განვლო ქალაქები „სირამპური“, „ჩიტრა“) ამ ქალაქის სახელი რაფიელს უნდა ეშლებოდეს. ჩიტრა კალკუტასთან არ არსებობს, ხოლო ქ. ჩიტრალი ინდოეთის ჩრდილოდასავლეთ ნაწილშია, ავღანეთის საზღვართან, მარშატაბატი (შეესაბამება მურშიდაბადის) მუნკირი (მონგირი), აზიმაბატი ანუ ფატონი (პატნა), ბანარისი (ბენარესი), ლაკნაზორი (ლუკნოუ), კამბერი (კაუნპური), ფარახაპატი (ფარუხაბადი), მერედი (შეესაბამება მორადაბადს ან მერეტს), დელი, ფადიფური (შეესაბამება ქ. აგრას)², ლაპირი, ნორპორი ანუ ფარი (ვფიქრობთ, რომ უნდა იგულისხმებოდეს ნურფური, რომელიც მდებარეობს ფერგაბის დაბლობში, მდ. ინდას და ჯელამს შორის), ქაშმირი (იგულისხმება სრინაგარი, რომელიც ქაშმირის პროვინციის დედაქალაქია).

ქაშმირის დედაქალაქიდან მოგზაური მივიდა, მისივე თქმით, ქალაქ ტიბეტში. ამგვარი სახელწოდების ქალაქი არ არსებობს და ამიტომაც საფიქრებელია, რომ დანიბეგაშვილი ამ შემთხვევაშიც ქალაქისა და პროვინციის სახელს ერთმანეთში ურევს. მაგრამ რომელ ტიბეტზეა აქ ლაპარაკი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანიბეგაშვილის ქ. ტიბეტი მდებარეობს ე. წ. მცირე ტიბეტში ანუ ბალტისტანში (სხვაგვარად ლადაკში) და შეესატყვისება ლეხს ან გილგიტს. ან იქვე მდ. ინდის ზემო წელის ხეობაში მდებარე რომელიმე სხვა პუნქტს. ამ მოსაზრებას ეთანხმება რაფიელის ცნობა, რომ ქ. ტიბე-

¹ სოლ. ოორდანიშვილი აიგივებს ამ ქალაქს Baskezgandaschi-სთან. (რ. დანიბეგაშვილის წიგნის ქართული გამოცემის კომენტარი, გვ. 110).

² სოლ. ოორდანიშვილი ფადიფურს ქ. ფიროზბურთან აიგივებს, ეს შეცდომაა, რამდენადაც დანიბეგაშვილის აღწერილობის თანახმად აქ ძველად მოვლენა სამეფო გვარეულობის სატახტო ქალაქი ყოფილა, რომლის მოსახლეობასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუშევია ინგლისის აღმიისათვის; ასეთი აღწერილობა სრულიად არ შეუფერება ფიროზბურს და მიგვითითებს აგრაზე, რომელიც 1527 წლიდან 1658 წლამდე მოვლენა იმპერიის დედაქალაქი იყო. აგრაში დანიბეგაშვილი უნდა მისულიყო 1803 წლის შემდეგ, როდესაც ინგლის-მარათთა მეორე ამირ უკვე დამთავრებული იყო.

ტი ლასას ანუ ლჰასას (ნამდვილი ტიბეტის დედაქალაქს) სამი თვის სავალითაა დაშორებული.

დანიბეგაშვილის შემდგომი მსვლელობის მარშრუტი მიმართულია ქალაქ იარკენდისაკენ, რომელიც მდებარეობს ჩინეთის დასავლეთ ნაწილში, სინძიანის პროვინციაში. იქ მისასვლელად დანიბეგაშვილს ყარაყორუმის მაღალი, თოვლყინულოვანი მთაგრეხილის გადალახვა მოუხდა. ყარაყორუმი, რომელიც ჰიმალაის ქედის გამრელებას შეაღენს, დაგვირგვინებულია ჩინორის ანუ დაბასანგის ანუ გოლუინ-ოუსტენის (სხვაგვარად K—2) მასივით, რომელიც თავისი სიმაღლის მიხედვით (8611 მ ზღვის დონიდან) მსოფლიოს მეორე მწვერვალია ევერესტის შემდეგ. ყარაყორუმის კალთებზე ჩამოწოლილია უზარმაზარი მყინვარები, რომელთა გავლაც ქედის გადალახვისას, ადამიანთაგან დიდ დროს მოითხოვს.

დანიბეგაშვილის წიგნი არ იძლევა ზუსტ მითითებას იმაზე, თუ რომელი მარშრუტით განახორციელა მან ყარაყორუმის გადაკვეთა. საფიქრებელია, მას უნდა გადაელახა ან მინთაკას უღელტეხილი (4629 მ. ზღვის დონიდან), რომლის ბილიკიც მდ. გილგიტის (ინდის მარჯვენა შემდინარის) შენაკად მდ. ხუნზას აუკვება და შემდეგ იარკენდ-დარიას შემდინარის თაშ-ყურღანის ხეობით ჩადის სინძიანის ქ. იარკენდში (ეს ბილიკი 10—15 კმ მანძილზე გაუვლის საბჭოთა კუშირის სახელმწიფო საზღვარს და ამჟამად ინგლისელების მიერ ნაწილობრივ გზატკეცილად არის გადაკეთებული), ან კიდევ უღელტეხილი ყარაყორუმი (5568 მ), რომელიც უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს და აერთებს ინდის მარჯვენა შემდინარის შაიოკის ხეობას იარკენდ-დარიის ზემო წელის ე. წ. რასკემ—დარიას ხეობასთან. ასეა თუ ისე, ქართველმა მოგზაურმა გადალახა შეოფლიოს ერთეულთი უძნელესი ბუნებრივი ზღუდე ყარაყორუმის ქედი და ინდოეთიდან ჩინეთში გადავიდა.

სინძიანის პროვინციაში დანიბეგაშვილის მარშრუტი გადის ქალაქებზე იარკენდზე, ახსუზე და ტურფანზე, ე. ი. დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან გარს ერტყმის თაკლამაკანის უდაბნოს. ტურფანთან დანიბეგაშვილი იმყოფება მსოფლიოს უღრმეს კონტინენტურ ქვაბულში. ცნობილია, რომ აზიის უმაღლესი ქედებით გარშემორტყმული ტურფანის ანუ ლუკჩუნის ღრმული ოკეანის დონეზე 154 მეტრით დაბლაა.

ტურფანიდან რაფიელ დანიბეგაშვილი სამ თვეს მგზავრობს უკვე რუსეთის სამპერიო ტერიტორიაზე და აღწევს „სემიპალატს“

(სემიპალატინსკს), აქედან კი იმ ეპოქის საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებით, ფოსტის ცხენებით მიღის ომსკის ციხესიმაგრეზე. აქ მას შეხვდა ციმბირის ხაზის უფროსი, გენერალი გ. ი. გლაზენაბი. ომსკიდან დანიბეგაშვილი მიღის მოსკოვში და იქ ამთავრებს თავის მოგზაურობას.

ასეთია რაფიელ დანიბეგაშვილის მიერ გავლილი მარშრუტი. მის წიგნში მოტანილია ცნობებიც ამ მარშრუტის ცალკეული მონაკვეთების გასავლელად დახარჯული დროის შესახებ. ეს ცნობები თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევიან იმდროინდელი საზღვაო და სახმელეთო მიმოსვლის პირობებზე და იმ ენერგიაზე, რომლის დახარჯვაც მოუხდა ქართველ მოგზაურს. აი ეს მონაცემებიც.

მარშრუტის მონაკვეთი		მიმოსვლის სახე	დახარჯული დრო (დღეობით)
საწყისი პუნქტი	საბოლოო პუნქტი		
თბილისი	ახალციხე	სახმელეთო	6
ახალციხე	არწრუმი	"	20
არწრუმი	მუში	"	12
მუში	არღანა	"	8
არღანა	ფალა	"	9
ფალა	მერტინი	"	7
მერტინი	ტიგრანაკერტი (დარბექირი)	"	?
ტიგრანაკერტი	ნინევია (მოსული)	"	15
ნინევია	ბაბილონი (ბაღდადი)	"	?
ბაბილონი	ბასრა	"	15
ბასრა	მასკატი	საზღვაო	?
მასკატი	ბომბეი	"	22
ბომბეი	კოლომბო	საზღვაო	18
კოლომბო	მანარი	"	?
მანარი	პონდიშერი	"	?

მარტობულის მონაცევთი		მიმოსვლის სახე	დაზარჯული დრო (დღეთით)
საწყისი პუნქტი	საბოლოო პუნქტი		
პონდიშერი	თრაკერი	სახმელეთო	3
თრაკერი	მადრასი	?	?
მადრასი	მასული-პატაში	საზღვაო	?
მასული-პატაში	რანგუნი	„	15
რანგუნი	ბაჰარკანი	„	18+19+3+X
ბაჰარკანი	კალკუტა	„	15
კალკუტა	სერამპური	სახმელეთო	1
სერამპური	„ჩიტრა“	„	1?
„ჩიტრა“	მურშიდაბადი	„	4
მურშიდაბადი	მონგირი	„	6
მონგირი	აზიმაპატი (პატნა)	„	?
პატნა	ბენარესი	სამდინარო	17
ბენარესი	ლაკნარი (ლუკნაუ)	სახმელეთო	მანძილი 120 ეკრისი
ლაკნარი	კაუნპური	„	3
კაუნპური	ფარუხაბადი	სახმელეთო	4
ფარუხაბადი	მეერუთი	„	6
მეერუთი	დელი	„	?
დელი	ფალფური (აგრა)	„	?
აგრა	ლაკნარი	„	?
ლაკნარი	ნურპური	„	40
ნურპური	ქაშმირი (სრინაგარი)	„	?
სრინაგარი	ტიბეტი (ლენი?)	„	20

მარშრუტის მონაცევითი		მიმოსვლის სახე	დახარჯული დრო (დღეობით)
საწყისი პუნქტი	საბოლოო პუნქტი		
ტიბეტი	იარკენდი	"	40
იარკენდი	ახსუ	"	13
ახსუ	ტურფანი	"	3?
ტურფანი	სემიპალატინსკი	"	90
სემიპალატინსკი	ომსკი	"	7

ამგვარად, ზღვაზე მოგზაურობისას დანიბეგაშვილი დღელამეში 70—100 კმ გადიოდა, ხმელეთზე კი (ქარავნული წესით) მხოლოდ 10—15 კმ, თუმცა საფიქრებელია, რომ ცალკეულ გადასვლებზე დახარჯული დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მოგზაურმა დასვენებას ან საქმეებს მოანდომა.

ცხადია, იმ ხანაში შორეული მოგზაურობა როგორც ზღვაში, ისევე ხმელეთზეც დიდ გასაჭირთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. მართლაც, მიუხედავად რაფიელ დანიბეგაშვილის თხრობის თავდაჭერილობისა, ამ თხრობაში მაინც გამოსჭვივის სამოგზაურო თავგადასავალთა მძიმე შთაბეჭდილებანი. მოვიყვანთ ორ მაგალითს, რომელთაგან ერთი საზღვაო მოგზაურობას შეეხება, მეორე კი სახმელეთოს.

რანგუნიდან კალკუტაში ხომალდით მოგზაურობისას დანიბეგაშვილს ფათერჩაკი ეწია. ამის შესახებ რაფიელი საინტერესოდ მოგვითხრობს. „ზღვით მოგზაურობა, — ამბობს რაფიელი, — დასაწყისში ძალიან სასიამოვნო იყო, რადგან ჩვენ მეტად წყნარად მივცურავდით, მაგრამ ჩვენი მგზავრობის მე-18 დღეს ატყდა საშინელი ტარიშხალი, და ოკეანის ტალღები ყოველ წამს სიკვდილს გვიქადდა. ჩვენი გემი დიდხანს ებრძოლა აქაფებულ ტალღებს, მაგრამ, ბოლოს, მათ ძალას უნდა დამორჩილებოდა და იგი მოთლიანად დაიშსხრა. მის დალეჭვისას ბევრი მგზავრი დაგვეღუპა. ლვთის განგებით, მე და ჩემი სამი ამხანაგი გადავცვივდით გემზე მიბმულ ნავში და ამით გადავირჩინეთ თავი. 19 დღე ამ ნავით ვეხეთქებოდით ოკეანის ტალღებს. მრავალჯერ ვცადეთ ნაპირზე მიღომა, მაგრამ გვეშინოდა ნიანგებისა, რომლებიც იქ ბლომად იცის. ამასთან, ოკეა-

ნის ნაპირას მდებარე ტყეებიდან გვექმოდა საშინელი ბრძლვინ-ვა ლომებისა და ამიტომ ვერ გავბედეთ ნაპირზე გადასვლა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერთადერთი საკვები იყო მხოლოდ ბალა-ხეული და სხვადასხვა ფესვები. ბუნება მთელი თავისი სილამაზით შეკვდარი იყო ჩვენთვის; ვერც დიდებულ სანახაობებს, ვერც ფრინ-ველთა სასიამოვნო გალობას, რაც ისმოდა ოკეანის ნაპირას, ვერ წარეხოცა განცდილი საშინელებანი ჩვენს სულიდან. ყველგან ჟიში და ძრწოლა გვდევდა თან და ჩვენდა საუბედუროდ არსად არ ჩანდა კვალიც კი აღამიანთა. დასასრულ, ჩამოდგა რა ბუნებაში შყუდროება, ჩვენც დავმშვიდდით“...

მაგრამ მოგზაურის განსაცდელი ამით არ დამთავრებულა. აღ-გილობრივი მცხოვრებნი, რომელთაგანაც დანიბეგაშვილი და მისი იანამგზავრები დახმარებას მოელოდნენ, ამ უკანასკნელთა დანახ-ვაზე შიშისგან გარბოდნენ და დიდი ხანი გავიდა, ვიდრე მათთან დაკავშირებას მოახერხებდნენ.

დიდი სიძნელე და გასაჭირი შეხვდა დანიბეგაშვილს ინდოეთი-დან ჩინეთში ყარაყორუმის ქედით გადასვლის დროსაც: „ეს მგზავ-რობა,—წერს მოგზაური,—ჩემთვის ძალიან მოსაწყენი იყო: უნაყო-ლო გზა, დიდი ორმოები და ძალზე მაღალი მთები, მათ შორის ჭინულოვანიც, ჩემს სულში მწუხარების აუტანელ გრძნობას ბა-ლებდნენ და ეს გრძნობა ჩემში მით უფრო მატულობდა, რომ ყველა ეს ადგილი უდაბური იყო. ერთადერთი ჩემი სურვილი იყო, რაც შეიძლება მალე მოვშორებოდი იქაურობას“... ამ სიტყვებით რაფიელ დანიბეგაშვილი აღნიშნავს მაღალ მთებზე მოგზაურობის სიძნელეებით გამოწვეულ ფსიქიურ განცდებს.

ცნობები, რომლებსაც რ. დანიბეგაშვილი თავის წიგნში იძლევა მოგზაურობის მარტინტისა და ცალკეულ გადასვლათა ხანგრძლი-ობის შესახებ, ზოგიერთ შეუსაბამობას შეიცავენ, რაც უკვე გვქონდა სათანადო ადგილებში აღნიშნული. ეს შეუსაბამობანი ანუ უცედომები ეხება პუნქტების სახელწოდებას, მდებარეობას და ურთიერთდაშორებას და მოწმობს იმ გარემოებას, რომ დანიბეგა-შვილის თხრობა ნაწილობრივ მაინც ზეპირ მოგონებებზე უნდა იყოს დამყარებული. მიუხედავად ამისა, დანიბეგაშვილის მოთხრო-ბა ძირითადად სწორად ასახავს ინდოეთის ოკეანეში და აზისი კონ-ტინენტზე მგზავრობის იმზრონინდელ პირობებს და ამ მხრივ პრაქ-ტიკულად სასაჩვენებლო ცნობარს წარმოადგენდა მოგზაურის თანა-შედროვეთათვის.



დანიშვაზვილის ცონამზი აზიის ქვეყანათა უსახებ

თავისი მოგზაურობის დროს დანიბეგაშვილმა ინახულა აზიის მთელი რიგი ქვეყნები თურქეთი, არაბეთი, ინდოეთი, ცეილონი, ბირმა, ქაშმირი, ჩინეთი, კიბირი. მოგზაურმა შენიშნა და თავის წიგნში ასახა ამ ქვეყნების ბუნების, მოსახლეობის, ეკონომიკისა და ისტორიის ბევრი თავისებურება.

ოსმანთა იმპერიის ფარგლებში დანიბეგაშვილი აღწერს ქალაქებს — ახალციხეს, არზრუმს, მუშს, არგანას, ფალას, მარდინს, დიარბექირს, მოსულს, ბაღდადს და ბასრას.

ახალციხე მოგზაურის ყურადღებას იძყრობს ხილეულის სიუხვით, არზრუმი — მდიდარი მცხოვრებლებით, კარგი შენობებით და საწვავის სიმცირით, რაც იძულებს აქაურ მცხოვრებთ წავა იხმარონ. ქ. მუშის მიღამოებში აღწერილია იოანე ნათლიმცემლის საფლავი, ქ. არგანასთან სპილენძის მაღანი და საღი კლიმატი. დანიბეგაშვილი აღნიშნავს ქ. მარდინის უწყლობას და სიმწირეს. უფრო ვრცლად არის აღწერილი ქალაქები დიარბექირი, მოსული, ბაღდადი და ბასრა.

დიარბექირი ანუ ძველი ტიგრანაკერტი დანიბეგაშვილს აღწერილი აქვს როგორც ოდესლაც დიადი და ამჟამადაც მეხილეობით განთქმული, მაგრამ ამავე დროს ეროვნული შულლის ასპარეზად გადაქცეული ქალაქი. აღნიშნულია აქ მცხოვრებ ებრაელთა სიმრავლე და სიმღიდრე.

მოსული (უწინდელი ნინევია) ჩვენ მოგზაურს შესანიშნავ ქალაქად აქვს აღიარებული ხუროთმოძღვრული ღირსების მიხედვით. აქაური მოსახლეობა დანიბეგაშვილს უფრო სტუმართმოყვარედ მიაჩნია, ვიდრე დიარბექირელნი. იგი აღნიშნავს მოსულის ქალთა

სილამაზეს და არაბული ენის გაბატონებულ მნიშვნელობას, აგრეთვე მდ. შატ-ელ-არაბის სიმშვენიერეს.

ქ. ბალდადი (ძველი ბაბილონი) ქართველი მოგზაურის ყურადღებას იპყრობს კარგი ნაგებობებით, მოსახლეობის სიმდიდრითა და ადამიანთა სიამაყით, სტუმართმოყვარულობით, მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის მრავალფეროვნებით და ა. შ. აღნიშნულია აქაური ნავთსაღვურის დაქვემდებარება ინგლისელთადმი და აქ არსებული საფოსტო კავშირის სისტემა.

ანალოგიური ცნობებია მოცემული ქ. ბასრას შესახებაც. არაბეთის ნახევარკუნძულზე დანიბეგაშვილი ცოტაოდენი ხნით გაჩერებულა ქ. მასკატში, რომელსაც იგი ახასიათებს ცხელი ჰავის მეონე, უნაყოფო ადგილად. დახასიათებულია ადგილობრივი მფლობელის ანუ იმამის ძალაუფლება.

დანიბეგაშვილის ცნობების ძირითადი ნაწილი ეხება ინდოეთს, ბირმას და დასავლეთ ჩინეთს.

ინდოეთი¹

აღწერილობით მასალა, რომელიც რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნში მოცემულია ინდოეთის შესახებ, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეკონომიურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-პოლიტიკურ ცნობებად.

ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობათა შორის დანიბეგაშვილის განხილვის საგანს წარმოადგენს ხოლმე რელიეფი, ჰავა, ჰიდროგრაფიული ქსელი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო.

ქ. ნურფურის მახლობლად, დანიბეგაშვილის სიტყვით, „არის ცეცხლის მფრქვევი მომცრო კაჟაანი მთა, რომლიდანაც განუწყვეტილივ ამოდის ალი. ამ მთაზე არის ნაკადულიც. ინდოელმა მოგოლისა აქბარმა განიზრახა ამ ცეცხლის ჩაქრობა და უბრძანა არხის გაყვანა. მაგრამ უკველაფერი ეს ამაო იყო და მისი დაწყებული საქ-

1. რ. დანიბეგაშვილის მიერ ინდოეთის შესახებ მოცემული ცნობების განხილვისას გამოვიყენეთ შემდეგი ლიტერატურული წყაროები: A. M. Рябчиков. Природа Индии. География, 1950; D. N. Wadia Geology of India. London, 1944. 1944; Н. А. Бобриевский, Л. А. Зенкевич и Я. А. Бирштейн. География животных, Москва, 1946; А. М. Дьяков. К вопросу о национальном составе населения Индии (Труды Тихоокеанского института, т. I), М.—Л., 1947; Н. В. Кюнер, Описание Тибета, ч. 2 — этнографическая, вып. 1—Состав и быт населения. „Известия Восточного института“, Владивосток 1908, т. 26, вып. I.

შე უშედეგოდ დარჩა“. ციტირებულ ცნობაში ნაგულისხმევია ბუ-
ნებრივი აირის გამოსავალი, რომელიც ინდოელთა თაყვანსაცემ
ადგილს წარმოადგენს (ცნობილია, რომ ინდოელი ცეცხლ-თაყვა-
ნისმცემლები ძველად აფშერონის ნახევარკუნძულზეც მოღილდნენ
ხოლმე სურახანის ბუნებრივი აირის გამოსავლებთან).

რელიეფის დახასიათებებს დანიბეგაშვილი იძლევა როგორც
კალკეული ქალაქებისათვის, ისევე გზებისათვისაც. მოვიყვანოთ
რამდენიმე მაგალითი:

ქალაქი მონგირი „მდებარეობს მდინარე განგესის ნაპირას, მთის
ლერდობზე“.

„ქაშმირის მიდამოები სასიამოვნო სანახვია. ქალაქი შემოზღუ-
დულია მთებით, რომლებიც ზაფხულობით ხასხასა მწვანით იმოსე-
ბიან. თვით ქალაქში მრავალი არხია, ხოლო შიგ შუაგულში მდე-
ბარეობს ტბა, რომელსაც ირგვლივ ზომა 19 ვერსი აქვს. მის მახ-
ლობლად მდებარეობს მთა, რომელზედაც ქვის ციხეა გაშენებული.
ამ ტბის წყალი მეტად ჭმინდაა. იგი საკმარისად ღრმაც არის“.

ქალაქ ტიბეტის (იგულისხმება გილგიტი ან ლეხი, იხ. ზემოთ)
„გარშემო აშვდილია კლდიანი მთები, რომლებზედაც მცირეოდენ
შვრიის გარდა, არა იზრდება რა“.

მცირე ტიბეტიდან სინდიანში მიმავალი გზის რელიეფური პი-
რობების დახასიათება უკვე ციტირებულ იქნა დანიბეგაშვილის
მარშრუტის გაკვლევისას.

„სემიპალატიდან კოხანამდის 2 ათას ვერსზე გაჭიმულია ყირ-
გიზთა ვაკე აღგილები“.

„ქაბულიდან ჰეშავერამდე ასი ვერსია და გზა კლდოვან მთებში
მიიმართება“.

კლიმატური პირობების დახასიათებას მოგზაური გვაწვდის ცე-
ლონზე მდებარე ქ. მანარის, ქ. მაღრასის, ქ. კალკუტის, ქ. ბენარე-
სის, ქ. ლაკორის, ქაშმირის აღწერისას. ინდოეთის უმეტეს ნაწილს,
დანიბეგაშვილის ცნობით, ისეთი ცხელი ჰავა ახასიათებს, რომ
თოვლი აქ სრულებით არ მოდის, მრავალი მწერი იცის და მცხოვ-
რებლებს კანი შავად აქვთ დამწვარი. ქაშმირი ჩვენს მოგზაურს
ინდოეთში ერთადერთ აღგილად მიაჩნია, სადაც თოვლი იცის.

ინდოეთის მდინარეთაგან დანიბეგაშვილს დასახელებული აქვს
განგესი, რაღავა (უნდა შეესაბამებოდეს მდ. ჯელამსინდის სისტემის
შესამეხარისხოვან მდინარეს), რავი, ჯუმნა. მოგზაური აღნიშნავს
მასმელად ვარგისი წყლის ნაკლებობას კალკუტაში, პატნაში და

ზოგიერთ სხვა ქალაქებში, რომლებიც მდინარეთა ნაპირებზე მდებარეობენ. ჩაფიელის სიტყვით „აქაური წყალი ივარგებლა კიდეც სახმარად, მაგრამ ვინაიდან ინდოელების ჩვეულებისამებრ ცოტას შეტრუსავენ რა ცეცხლზე მიცვალებულთა გვამებს, შემდეგ მათ წყალში ჰყრიან, ამიტომ წყალს, გვამების გახრწნის გამო, არასასიამოვნო სუნი უდის და არაფერში არ იხმარება“. ქაშმირის აღწერილობაში ხსენებული ტბა შეესაბამება საბჭოურ „მსოფლიო ატლასის „ტბა ვულარს“ ანუ ელიზე რეკლიუს წიგნზე „Земля и люди“ დართული რუკის „ივ. Уяр“-ს¹.

ინდოეთისათვის დამახასიათებელი მცენარეებიდან დანიბეგაშვილს დასახელებული აქვს „ფანი“, რომლის ფოთლებსაც მაღრასის მოსახლეობა სალეჭად ხმარობდა. იგი შეესაბამება ე. წ. ბეტელს (Piper betle). ცეილონის აღწერილობაში ჩამოთვლილია ხის ძვირფასი ჯიშები; სანდალი, მიხავი, ილი, დარიჩინი, ხოლო ქ. მონგირისაში წითელი და შავი ხე.

ცხოველებიდან იხსენიება ნიანგი და კუ, რომელნიც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ მდ. განგესში.

გაცილებით უფრო უხვ მასალას ვპოულობთ ქართველი მოგზაურის წიგნში ინდოეთის მოსახლეობის, მისი ზნე-ჩვეულებების, ცეტორის, ეკონომისტი და სოციალურ-პოლიტიკური ყოფის შესახებ. მოსახლეობის დახასიათებისას დანიბეგაშვილი ყურადღებას აქცევს, უწინარეს ყოვლისა, აღგილობრივი მცხოვრებლების ეროვნულ კუთვნილებას, კანის ფერს, სარწმუნოებას, სასაუბრო ენას.

ბომბეის მოსახლეობის შესახებ ნათქვამია, რომ „საერთოდ ყველა აქაური მცხოვრები ცეცხლთაყვანისმცემელია“ და რომ „თავისთავს ისინი კაბერს ანუ ფარსს უწოდებენ“.

ქალაქ მანარის მცხოვრებთ ცეილონზე, ჩვენი მოგზაურის აქმით, „კანი ძალზე შავი აქვთ“, რასაც იგი დიდ სიცხეს მიაწერს. ისინი თაყვანს სცემენ ძროხებსა და წყალს.

ქალაქ პონდიშერისა და მისი სანახების მცხოვრებნი „ცეცხლთაყვანისმცემლები არიან და კანიც შავი აქვთ“. ქ. თრაკბერის ანუ, უფრო სწორად, ტრანკებარის მოსახლეობა დანიბეგაშვილს უემდეგნაირად ჰყავს დახასიათებული. „ეს ქალაქი გაყოფილია ორნაწილად. იმ ნაწილში, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, ეკო-

¹ Элиэз Реклю. Земля и люди, кн. 5, т. 8, Спб, 1899. „Карта Индии, Индо-Китая и Западных островов“, масштаб 1:8. 400.000.

პელები ცხოვრობენ, სხეულით ისევე თეთრკანიანები, როგორც ჩვენ, ხოლო მეორე ნაწილში ქალაქისა, რომელიც ამ ქალაქის გულურ მდებარეობს, ცხოვრობენ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც სხეულის კანი შავი აქვთ და რომელიც კერპთაყვანისმცემელნი არიან. აქ იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რა ენაზედაც კოლუმბში (ცეილონზე მდებარე ქ. კოლომბოში, ლ. მ.)“. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მოტანილ აღწერილობაში მადრასის პროვინციის თამილების ტომი იგულისხმება.

მოსახლეობის ანალოგიურ შედგენილობას (ევროპელ ქრისტიანთა და ადგილობრივ შავკანიან კერპთაყვანისმცემელთა შეხამებას) წარმოგვიდგენს დანიბეგაშვილი ქ. მაღრასისთვისაც: პონდიშერისათვის აღნიშნულია ფრანგი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ ქალაქში.

კალკუტის დახასიათებისას მოგზაური აღნიშნავს აქაური მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის სიჭრელეს: აქ ცხოვრობენ ინდოელები (კერპთაყვანისმცემელნი), ადგილობრივი მკვიდრი მაჰმადიანები, ინგლისელები, ფრანგები, პორტუგალიელები, სომხები. „სალაპარაკო ენა აქ იგივეა, რაც პანკალში“ (იგულისხმება ბენგალის პროვინცია). აღნიშნულია კალკუტის მოსახლეობის ევროპული და ადგილობრივი შემაღებელი ნაწილების ტერიტორიული გამიჯნულობა: „ზღვის პირას ამ ქალაქში გაშენებულია ძველებური ციხე, რომლის მიღამოებში ცხოვრობენ ევროპელები, ხოლო სამხრეთ მხარეზე ცხოვრობენ ადგილობრივი მკვიდრნია“.

დანიბეგაშვილი ყურადღებას აქცევს და საგანგებოდ აღნიშნავს კიდეც იმ გარემოებას, რომ ქ. მურშიდაბადიდან დაწყებული, ჩრდილო ინდოსტანის ვაკეზე გაბატონებულია „საკუთრივ ინდური ენა“ (იგულისხმება ენა „ჰინდი“).

ქ. ბენარესის აღწერისას აღნიშნულია მისი მცხოვრებლების კერპთაყვანისმცემლობა და ძროხის კულტის არსებობა. ლუკონუში „ბევრია ქურთად წოდებული ხალხი“. კაუნბურში ცხოვრობს „მრავალი მაჰმადიანი და კერპთაყვანისმცემელი“. ლაპორის „მკვიდრნი კერპთაყვანისმცემელნი არიან. აქ მრავალი უცხოელიც ცხოვრობს“. რაც შეეხება ქაშმირს, „ამ ქალაქის (იგულისხმება სრინაგარი, ი. ხემთ, ლ. მ.) მკვიდრთა უმრავლესობა მაჰმადიანური, კანონის მიმღევარია და კერპთაყვანისმცემელი“.

დანიბეგაშვილი აღწერს ინდოეთის მოსახლეობის თავისებურ რწმენებსა და ზენ-ჩვეულებებს, ცეილონზე მდებარე ქალაქ მანარის მცხოვრებთა ვეგეტარიანელობას, მაღრასის პროვინციაში გავრ-ცელებულ ბეტელის ფოთლის ღეჭვის ჩვეულებას, მიცვალებულის დაკრძალვის (დაწვის) წესს, ე. წ. „მკვდართა სოფლებს“, რომ-ლებშიც ხალხისაგან განდევნილი სწეული ადამიანები ცხოვრობენ, მოხუცი ინდოელების ტრადიციულ მგზავრობას წმინდა ქალაქ ზენარესში ცოდვებისაგან განტვირთვის მიზნით, განგესის თაყვანისცემასა და მასთან დაკავშირებულ ბაზრობას, გარდაცვლილ ინ-დოელთან ერთად მისი ცოლების დაწვის ჩვეულებას, ქაშმირში არსებულ სისასტიკეს ავაზაკების მიმართ, მცირე ტიბეტის მცხოვ-რებთა პოლიანდრიას (მრავალ-ქმრიანობას)¹, გველების ჭერ-ხებს ტიბეტში ცხვრების სასაპალნედ გამოყენებას და ა. შ.

საყურადღებო ცნობებს იძლევა რაფიელ დანიბეგაშვილი ინ-დოეთში ინგლისელთა კოლონიური პოლიტიკის შესახებ. ავტო-რი ახდენს ისტორიულ წიაღსვლებს, აღწერს ინგლისის იმპერიალი-ზმის მიერ ინდოელი ხალხის დამორჩილების ეპიზოდებს, აშუ-შებს მათ მიერ ამ ქვეყანაში დამყარებულ ეკონომიკურ რეჟიმს და ჩართვა-გამგეობის სისტემას.

ბომბეის შესახებ, სადაც ჩვენი მოგზაურის სიტყვით საუკეთ-სო ინგლისური ხომალდები შენდება, ნათევამია, რომ მისი ნავ-სადგური პორტუგალიელების მიერ იქნა აგებული და შემდეგ ინგ-ლისელებს ერგო პორტუგალელებთან ქონების გაყოფისას.

ცეილონის მთავარი ქალაქი კოლომბო პოლანიელთა ხელიდან ინგლისელების ხელშივე გადავიდა; იგივე ბედი ეწია ფრანგების მიერ გაშენებულ ქ. პონდიშერსაც.

მაღრასის აღწერისას აღნიშნულია, რომ ინგლისელებს აღგილო-ბრივ მცხოვრებთა სალეჭ ბალაზე „ფანზე“ (შეტელზე) გადასახა-დი დაუწესებიათ მიუხედავად იმისა, რომ ინდოელი უხსოვარი ლროიდანვე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხმარობდნენ ამ მცე-ნარეს.

კალკუტის აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ მთელ ინდოეთს

¹ ლაპარაკია ჯგუფური ქორწინების იმ ფორმაზე, რომელსაც ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ფ. მაკ-ლენანმა ტიბეტური პოლიანდრია უწოდა, ე. ი. რამდენიმე ძმას ჰყავდა საერთო ცოლი.

ინგლისელი მთავარსარდალი (იგულისხმება გენერალ-გუბერნატორი) მართავს; რომ მის მმართველობაში მყოფი ინგლისური კომპანია (იგულისხმება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია) წლიურად 500 მილიონ რუპია შემოსავალს ღებულობს; რომ ამ შემოსავლის ჯემეტესი ნაწილი ინგლისელთა ჭარის შენახვაზე იხარჯება, ჭარისა, რომლის რაოდენობა 150.000 აღწევს; აღნიშნულია აღგილობრივი ანუ შავი ჭარის ჩინებული გაწვრთნილობა (სიბაები); მოტახილია რიცხვები, რომლებიც ახასიათებენ ინდოეთში მყოფ ინგლისის არ-შის სტევადასხვა წოდების მოსამსახურეთათვის განკუთვნილი ხელ-ფასის სიდიდეს.

ქალაქი სერამფური, ჩვენი მოგზაურის ცნობით, ადრე დანიას ეკუთვნოდა და შემდეგ ინგლისელთა ხელში გადავიდა. ანალოგიური ბედი ხვდა ჰოლანდიელთა ყოფილ სამფლობელოს ქ. ჩიტრას.

მურშიდაბადის დახასიათებაში ნათქვამია, რომ ინგლისელთა ძალაუფლების მიუხედავად აქ მბრძანებლად ითვლება და ბლომა შემოსავალსაც ღებულობს „ინდოელთა ნაბაბი“. „ნაბაბის“ სახელით დანიბეგაშვილის თხზულებაში იგულისხმება ბენგალიის მმართველი ანუ (ნავაბი). მართლაც ისტორიიდან ცნობილია, რომ ბენგალიის დაპყრობისას ინგლისელმა იმპერიალისტებმა ნავაბის ძალაუფლება ფორმალურად არ გაუქმეს, არამედ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენეს, ისინი თავისი სურვილისამებრ ნიშნავდნენ და ხსნიდნენ ბენგალიის ადგილობრივ მმართველებს. მეორე „ნაბაბი“, დანიბეგაშვილის ცნობით, ქ. ლაკნაპორში (ლუკნუში) იმყოფება აქაური „ნაბაბი“, მოგზაურის სიტყვით, ყოველწლიურად 20 მილიონ (რუპია) შემოსავალს ღებულობს, მაგრამ იძულებულია ჟედან გარკვეული თანხა ინგლისელებს აძლიოს; ქალაქიდან ორ ვერსხე დგას 2000 ინგლისელი ჭარისკაცი, რომელთა უფროსსა და ხენებულ „ნაბაბს“ შორის შეთანხმებაა. ამ ცნობაში მოხსენებული ლაკნაპორის „ნაბაბი“ არის ისტორიაში კარგად ცნობილი აუდის შთავარი, რომლის ძალაუფლების ფორმალური გაუქმება ინგლისმა 1856 წელს, ე.ი. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის შემდეგ მოახდინა. ინგლისელთა დიდი ჭარი მდგარა კაუნპურში. მესამე „ნაბაბს“ დანიბეგაშვილი გვიჩვენებს ქ. ფარუხაბაღში; იგი უბრძოლ-

¹ იგულისხმებიან დიდი მოგოლების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები, რომლებიც 1857 წლამდე ცხოვრობდნენ დელში და ინგლისელთაგან პენსიას ღებულობდნენ.

ველად დანებებია ინგლისელებს და ამისათვის მათგან ყოველწლიურად ჭამაგირს ლებულობდა 1600 რუპიის რაოდენობით. ინგლისურ გარნიზონს გვიჩვენებს დანიბეგაშვილი ქ. მეერუთშიც.

ინდოეთის სატახტო ქალაქის დელის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ამ ქალაქის დაპყრობის შემდეგ ინგლისელებმა ინდოეთის მეფეს წაართვეს მისი მშვენიერი სასახლე და სამაგიეროდ დაუნიშნეს ჯამაგირი თვეში 100.000 რუპიის რაოდენობით.

აღწერს რა ინდოელთა მიერ მდ. განგესის გაღმერთებას, დანიბეგაშვილი გვაცნობებს, რომ ინგლისელებს ინდოელების ეს ჩვეულებაც კი თავისათვის გამოუყენებიათ და განგესის თაყვანისცემაზე დასაშვებად ბილეთები დაუწესებიათ (თითო ბილეთი თითო რუპია ლირა).

ფადიფურის, ე. ი. ქ. აგრას შესახებ რაფიელი მოგვითხრობს, რომ აქაურმა მოსახლეობამ გმირული წინააღმდეგობა გაუწია ინგლისელებს, რომლებიც ლიკის მეთაურობით ცდილობდნენ ქალაქის აღებას (ლაპარაკია 1803 — 1805 წ. დაპყრობით ომზე, რომელსაც აწარმოებდნენ ინგლისელები გვალიორისა და ნაგპურის პროვინციებში). ქაშმირი, დანიბეგაშვილის ცნობით, ქაბულის (ავღანეთის) მეფეს ემორჩილებოდა და ინგლისელებს ჯერ ვერ მოეხერხებინათ მისი დაპატრონება.

ამგვარად, რ. დანიბეგაშვილი თავის მოთხრობაში იძლევა მის ბიერ გავლილი ინდოეთის ქალაქების მართვა-გამგეობის დახასიათებას, აღწერს იქ მყოფ ინგლისელთა სამხედრო ძალების რაოდენობას და ინგლისის ეკონომიკურ პოლიტიკას ინდოეთში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ ექსკურსიებსაც ახდენს იმის საჩვენებლად, თუ როგორი ძალდატანებითა და ვერაგობით მოახერხა ინგლისის მთავრობამ აზიის ამ უმდიდრესი ქვეყნის ხელში ჩაგდება.

ტიბეტის (უფრო სწორად მცირე ტიბეტის ანუ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის) აღწერისას რაფიელ დანიბეგაშვილი ყურადღებას აქცევს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საჭიროებებს და აღნიშნავს, რომ აქ „ბლომად შეიძლება გასაღება რუსული ოქრომედნარევ აბრეშუმის ქსოვილისა, რომელსაც ხალისით ყიდულობს ჩაბას სახელით ცნობილი ხალხი“ (უნდა იგულისხმებოდეს ტიბეტელთა ერთერთი ტომის ადგილობრივი სახელწოდება.) ამ სიტყვებში გამოსჭვივის დანიბეგაშვილის სურვილი დაასაბუთოს აზიის ამ ქვეყნებთან (ტიბეტთან და ინდოეთთან) რუსეთის მიერ ეკონომიკური კავშირის გაბმის მიზანშეწონილობა.

ბირმის ტერიტორიის ფარგლებში დანიბეგაშვილმა ინახულა, უწინარეს ყოვლისა, ამ ქვეყნის თანამედროვე დედაქალაქი რანგუნი, რომელშიც მან საკმაო ხანი დაჲყო; გარდა ამისა, იგი ეწვია ბირმის იმ ნაწილებსაც, რომლებშიც ჩვენი მოგზაური ბედისწერამ მიიყვანა ოკეანეში განცდილი უბედურების შემდეგ.

დანიბეგაშვილი საქმაოდ ვრცლად აღწერს ქ. რანგუნს, ბირმის მოსახლეობას და მართვა-გამგეობას, ბუნებრივ სიმდიდრეებსა და მათს დამუშავებას.

ქ. ბეკა ანუ რანგუნი, რაფიელის ცნობით, მდინარით (იგულისხმება მდ. რანგუნი) გაყოფილია ძეველ და ახალ ნაწილებად. ამ ქალაქში ინგლისელებს ხომალდმშენებლობა ჰქონიათ გაჩაღებული; რანგუნის ირგვლივ არსებული ხშირი ტყე ხომალდების საშენი მასალით ამარაგებდა არა მარტო ადგილობრივ მშენებლებს, არამედ ბომბეიშიც იზიდებოდა. ქალაქსა და ქვეყანას განაგებდა „ადგილობრივი ძველი თაობა“ ხავაბარმა (ამ სახელწოდებაში გაერთიანებულია სახელწოდებები „ავა“ ანუ „ჰავა“ და „ბარმა“ ანუ „ბირმა“², რომლებითაც აღინიშნებოდა განსაზღვრული ნაწილები ბირმელი ხალხით დასახლებული ტერიტორიისა). აღნიშნულია ბირმელთა თეთრკანიანობა და ჩინელებთან მსგავსება (როგორც სჩანს, დანიბეგაშვილისთვის ცნობილი იყო მხოლოდ შავი და თეთრი რასების არსებობა, ყვითელ რასას იგი არ განასხვავებს თეთრებისაგან), აგრეთვე ისიც, რომ მათი მთავარი საკვები ბრინჯი და თევზია. ადგილობრივი მმართველი რანგუნში მისულ უცხოელს თურმე 12 რუპის ახდევინებდა.

წიგნში იხსენიება ბირმის სახელწიფოს მაშინდელი დედაქალაქი ჴავაც (ავა), რომელიც რანგუნიდან 3 თვის სავალზე მდებარეობდა³.

დანიბეგაშვილის ცნობით, „ინგლისელებმა მრავალჯერ სცადეს

¹ დანიბეგაშვილის მიერ ბირმის შესახებ მოცემული ცნობების განხილვისას გამოყენებული ლიტერატურა: ე. დიბბი. Юго-восточная Азия. Москва, 1952; В. Васильева. Бирма. Москва 1942; Д. Х. Кемпбелл. Ботанические ландшафты земного Шара. Москва. 1948; ВСЭ, II изд.; Г. Е Harvcy History of Birma. From the earliest times, to 10 March 1824. New Uozk. 1925.

² რუსული სახელწოდება „ბირმა“ წარმოსდგება ადგილობრივი სახელწოდება „ბარმა“-საან (ინგლისურად Birma).

³ ქ. ავა მდებარეობდა მდ. ირავადის ზემო წელში, ქ. მანდალაის ზემოთ (იხ. ე. დიბბი. Юго-восточная Азия, გვ. 129).

ქალაქ რანგუნის დაბყრობა, მაგრამ უშედეგოდ“. როგორც ისტო-რიიდან ცნობილია, მართლაც XVII—XVIII საუკუნეებში და XIX ს. პირველ მეოთხედში ინგლისის დები დაემორჩილებინა ბირმა, უნაყოფოდ თავდებოდა და მხოლოდ დანიბეგაშვილის მოგზაურობაზე საგრძნობლად გვიან, 1824—25, 1853 და 1885 წ. ომების შედეგად, ინგლისელებმა ეს მოახერხეს.

ბირმის ბუნებრივი სიმღლიდრეებიდან დანიბეგაშვილი აღნიშნავს მაღნეულს და საილოს ძვალს.

იაგუნდი, რომლითაც, დანიბეგაშვილის აღწერილობის თანახმად, განთქმული ყოფილა ბირმა, შეესაბამება ლალს ანუ წითელ კორუნდს, რომლის დამუშავება დღემდე წარმოებს მოგოკის მთებში (ქ. მანდალაის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ეს ძვირფასი მინერალი წინათ მართლაც ერთერთი მთავარი საშემოსავლო ჭყარო იყო ბირმისათვის, მაგრამ ამჟამად მათი სამრეწველო მნიშვნელობა მცირეა (ე. დინბი, 1952, გვ. 134). დანიბეგაშვილის მიერ აღნიშნული ვერცხლისა და ტყვიის მადანი მოიპოვება ზემო ანუ ჩრდილო ბირმაში ე. წ. შანის სამთავროების ტერიტორიაზე (იხ. იქვე).

რანგუნიდან გამგზავრებული რ. დანიბეგაშვილი ქარიშხალმა მიაგდო ბირმის ნაპირებთან. მოგზაური აღწერს ტროპიკული ტყის უღრან ტევრებს, რომლებიდანაც ფრინველთა მუსიკა მოისმოდა. დანიბეგაშვილის წიგნში შეცდომით აღნიშნულია, თითქოს ბირმის სანაპირო ტყეებში ლომები ბინადრობენ. როგორც ცნობილია, ინდოეთსა და ბირმაში ცხოვრობს ვეფხვი და არა ლომი (ეს ორი მტაცებელი წარმოადგენენ ე. წ. ვიკარულ სახეობებს, ე. ი. მეტოქეობის გამო ვერ ეგუებიან ერთად ცხოვრებას; აფრიკაში და არა-ზეთში ლომია გავრცელებული, ხოლო უფრო აღმოსავლეთით მის ადგილს ვეფხვი იკავებს; მათი არეალების საზღვარი ირანისა და წინა ინდოეთის ფარგლებში მდებარეობს). შესაძლებელია, რომ ეს შეცდომა გამოწვეულია დანიბეგაშვილის მოგონების ქართული ტექსტის რუსულ ენაზე არაზუსტი თარგმნით.

დანიბეგაშვილი ასახელებს მდ. კიკაიას, რომელშიც იგი თანამდევრებთან ერთად ნავით შესულა საზღვაო კატასტროფის შემდეგ. ჩვენი ვარაუდით, ეს ადგილი ბირმის სანაპიროზე უნდა მდებარეობდეს, რამდენადაც აქედან კალკუტამდე დანიბეგაშვილს ნავით და ხომალდით 18 დღე სვლა დასჭირდა. არსებულ გეოგრაფიულ ატლასებში ამ სახელწოდების მდინარე ჩვენ ვერ მოვძებნეთ.

ଭାବୁକାଳାତ୍ମକ ନିରବାତ୍ମକ¹

ჩინეთის ტერიტორიაზე რაფიელ დანიბეგაშვილმა გაიარა ყარა-
ყორუმის ერთერთი უღელტეხილიდან იარკენდზე, ახსუზე და ტურ-
ფანზე გავლით ალბად ჭუნლარის ჭიშკრისაკენ. ამრიგად, მან ინახუ-
ლა სინ-ძიანის პროვინციის მთელი დასავლეთი და ჩრდილოეთი
ნაწილები.

სინ-ძანის ბუნებრივი თავისებურებებიდან დანიბეგაშვილს აღნიშნული აქვს კლიმატური პირობები, წყლის რესურსების სიღარიბე, შეამიანი მწერები.

ဝန်ဆောင်ရွက်ခြင်း ဖြစ်ပေါ်လေ့လှိုင် မြန်မာနိုင်ငံ၏ အမြတ်ဆုံး

„ამ ქალაქის ჰავა კარგია, მაგრამ წყალი უხეირო... თუმცა წელიწადის სხვა ღროთა მიხედვით აქაურ ჰავას მე კარგი ვუწოდე, მაგრამ შემოდგომა ამაზე უარესი მე არსად მინახავს. აქ თითქმის მთელი შემოდგომა ზეცა ღრუბლებით არის დაფარული. მთელ ამ ღროს მეტად მოსაწყენს ხდის წვიმის მსგავსად ზევიდან მომდინარე მტვერი, რომლის წარმოშობა შეუცნობელია. ხშირად ხდება, რომ ჰაერში დიდი სინესტის გამო, ჩნდებიან მოწითალო მწერები, რომელთაც აღგილობრივი მცხოვრებნი კორბიტს უწოდებენ. თუ ამ მწერმა ვისმეს უკბინა, იგი ძნელად თუ გადარჩება ცოცხალი. როცა წვიმის ნაცვლად ზემოხსენებული მტვერი მოდის, მცხოვრებლებმა იციან, რომ შემდეგი წელი მეტად ნაყოფიერი იქნება. მაგრამ, თუ ჩვეულებრივი წვიმა მოდის, ეს იმას მოასწავებს, რომ შემდეგი წელი მეტად უნაყოფო იქნება, და ამიტომ, მათთვის ჩვეულებრივ პარაკლისებს იხდიან. ხსენებული მტვერი ისეთი სიხშირით მოდის ზეციდან, რომ თვით მზის სხივებიც ვერ ატანენ მის სიხშირეს და ეს ხანდახან 7 თუ 8 დღეს გრძელდება. ეს მტვერი ისე წმინდაა, რომ სოლ უმკირეს ჭიჭრუტანაში ატანს“.

მტვერი, რომელსაც აღწერს დანიბეგაშვილი, ჩვეულებრივი გოვლენაა უდაბნოების მახლობლად მდებარე აღგილებისათვის. ქარი, რომელიც მშრალი ჰავის პირობებში დიდი სიძლიერით განირჩევა, ხვეტავს ქვიშა-მტვერს და მიეზიდება მას მნიშვნელოვან

¹ Қ. Қаңғидегүә Шәйлінің міндең қасасынан тиң ჩиңгірткішінен шындағанда қаралғанда ғана көрілген. Б. А. Обручев. Избранные работы по географии Азии. I—III. Географгиз. Москва, 1951. А. Н. Кириченко. Полужестокрылые. „Животный мир СССР“. 1—3. М.—Л. изд. АН СССР, 1937—50. Корнилов. Кашгария или Восточный Туркестан. Ташкент, 1903.

მანძილებზე, რის შემდეგაც ლექას: ქვიშის უდაბნოთა ფარგლებში, ხოლო უფრო წვრილ ნაწილაკებს (მტვერს) მათ გარეთ. ასე ჩნდება ე.წ. ეოლური ლიოსი, რომლითაც ჩინეთში და შუა აზიაში (საბჭოთა კავშირი) ვრცელი ფართობებია დაფარული. ცნობილია ლიონისანი ნიადაგების ნაყოფიერება, რაც გასაგებად ხდის დანიბეგაშვილის ნაამბობს მტვერის მოსვლის მიხედვით ნაყოფთა უხვი მოსავლის წინასწარმეტყველების და ატმოსფერულ მტვერთან დაკავშირებული სხვა მოვლენების შესახებ სინ-ძიანის დასახლებულ ზონაში.

რაც შეეხება დანიბეგაშვილის მიერ აღწერილ მწერებს, რომელთა ნაკბენიც ესოდენ სახიფათო ყოფილა აღამიანისათვის, მათი ზოლოგიური რაობის ზუსტად დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ზოლოგები, რომელთაც ჩვენ მივმართეთ ამ საკითხის გასარკვევად, შესაძლებლად სოვლიან, რომ დანიბეგაშვილის ნარკვევში ნაგულისხმევია მფრინავ ბალლინჭოთა რომელილაც სახეობა. როგორც ვიცით, ბალლინჭოს ნაკბენს გადააქვს აღამიანზე და პირუტყვზე მთელი ჩიგი სნეულებანი და მათ შორის ე.წ. ჩაგასის სნეულებაც (ამერიკული ტრიპანოზომიაზი). ამ სნეულებით დაავადებულთა 90% ბავშვებისათვის სიკვდილით თავდება. შესაძლებელია, რომ ანალოგიურ მოვლენას ჩინეთშიც აქვს აღვილი.

ბუნებრივ პირობებთან ერთად დანიბეგაშვილს აღნიშნული აქვს სინ-ძიანის მოსახლეობის თავისებურებანიც.

იარკენდის მცხოვრებთა შესახებ, მაგალითად, ნათქვამია, რომ ისინი „ამ 50 წლის წინ ჩინგის ყავნის ჩამომავალ თათრებს ემორჩილებოდნენ, და თუმცა დღემდის მაპმადიანურ კანონებს აღიარებენ, ამის მიუხედავად, ახლა ჩინელებს ეკუთვნიან“-ო. ციტირებულ დახასიათებაში ძნელი არ არის გამოცნობა დუნკანებისა — მაპმადიან ჩინელთა ტომისა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში და ნაწილობრივ საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც (კერძოდ, ყაზახეთსა და ყირგიზეთში) ცხოვრობს.

დანიბეგაშვილი იმასაც გვაცნობებს, რომ ჩინელებს იარკენდში ეყვნათ თავისი მეციხოვნე ჭარი (გარნიზონი) 2000 კაცის რაოდენობით.

აღწერს რა სინ-ძიანის ქალაქებს ხოტანს, ყაშლარს, ახსუს, ტურფანს, ილის ანუ კულյას, დანიბეგაშვილი აღნიშნავს მათში ჩინეთის ხელისუფლების წარმომაღენელთა-ე. წ. „ანბანების“ (უფრო სწორად: „ამბანი“) ყოფნას. ჩინელი მოსახლეობა ნაჩვენებია ქ. იარ-

კენდში (3 ათასამდე), ილში ანუ კულუაში (10 ათასზე მეტი) და ახსუში.

იარქენდისა და ილის (კულუის) დახასიათებისას მოგზაური მოგვითხრობს ჩინელებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა (დუნპანების) ურთიერთობის შესახებ. აღნიშნულია მაპმალიანთა მმართველის-ბეკის დამდაბლებული მდგომარეობა ჩინელი ამბანის მიმართ, ჩინელი ადმინისტრაციის უსაქმურობა და ქედმაღლობა, მათ მიერ დამყარებული წესები. ახსუს დახასიათებისას აღნიშნული არის ჩინელებისა და მაპმალიანებს შორის გაჩაღებული ვაჭრობა.

თხრობის დასასრულს რ. დანიბეგაშვილი გაკვრით იგონებს ტურ-ფანიდან სემიპალატინსკამდე გავლილ ქვეყნებს და მათში მოსახლე მომთაბარე ერებს-ყალმუხებს, ყირგიზებს, ყაზახებს. დახასიათებულია მათი სამეურნეო საქმიანობა, კვება, ზნე-ჩვეულებანი.





რაფიელ დანიბეგაშვილის ნაშრომი და მისი მიზანები

რაფიელ დანიბეგაშვილი მოსკოვში ჩატულა თავისი პირველა მოგზაურობის დაწყებიდან 18 წლის შემდეგ, ე. ი. 1813 წ. ორი წლის შემდეგ, 1815 წლს მოსკოვში იბეჭდება დანიბეგაშვილის წიგნი „მოგზაურობა ინდოეთში“. წიგნს წინ უძლვის ავტორის მიმართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი. ამ მიმართვაში რ. დანიბეგაშვილი, სხვათა შროის, შემდეგს აღნიშნავს:

„ვიმოგზაურე რა 18 წელი ინდოეთსა და მის ირგვლივ მდებარე ვრცელ ქვეყნებში, მე შეკრიბე ზოგიერთი თვისება იქაურ მკვიდრთა ზნე-ჩეულებისა, მათი ყოფა-ცხოვრებისა, მათი ღვთისმსახურებისა და ზოგიერთი ცნობა თვით მიწის ღირსებათა შესახებ.“

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მსურდა რა გარდამეცა ჩემს თანამემამულე რუსთათვის ყველაფერი ჩემ მიერ ნახული, და ამგვარად გამეცნო მათთვის არა მარტო ის ქვეყნები, არამედ მათი მცხოვრებიც, გადავთარგმნე ეს მოგზაურობა ქართულიდან რუსულ ენაზე“.

საფიქრებელია, რომ დანიბეგაშვილს ქართულად დაწერილი ნარკვევი თავისი მოგზაურობისა რუსეთში მცხოვრები ქართველების დახმარებით უნდა ეთარგმნა რუსულ ენაზე, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ორი წლის განმავლობაში საკმარისად დაუფლებოდეს რუსულს.¹

¹ მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ზოგიერთ სხვა ქალაქში იმ დროს ცხოვრობდნენ საქართველოდან გადასახლებული სამეფო გვარულობის (ბაგრატიონების) და თავადთა შთამიმავლები, რომელთა შორის სწავლული პირებიც იყვნენ (მაგალითად, იოანე ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი და სხვანი).

მომცრო ფორმატის მქონე წიგნი, რომელიც სულ 56 გვერდს შეიცავს, მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი საყურადღებოა როგორც ქართული, ისევე რუსული კულტურისა და პოლიტიკის ისტორიის თვალსაზრისით და აგრეთვე რუს-ქართველთა ურთიერთობის ისტორიისათვისაც.

რაფიელ დანიბეგაშვილი ქართველ მოგზაურთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც XVIII საუკუნეში და XIX საუკ. დასაწყისში დიდხანს იმოგზაურა ევრაზიასა და ეგვიპტეში. დანიბეგაშვილთან ერთად ამ პლეადაში შედიან: სულხან საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გელევანიშვილი. დანიბეგაშვილის მოგზაურობა პირველ ადგილზე დგას გეოგრაფიული მასშტაბის, სიმნელე-ხიფათიანობისა და შედეგების მხრივ. დანიბეგაშვილის წიგნი განსაკუთრებულ ადგილზე დგას ქართველთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. იგი მოგვითხრობს ქართველი აღამიანის მიერ გავლილ სამოგზაურო ეპოქაზე მსოფლიოს უდიდესი კონტინენტის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დანიბეგაშვილის წიგნს მხოლოდ იონა გელევანიშვილის ნარკვევი შეიძლება შევადაროთ. რაფიელის წიგნი ქართველების მიერ დაწერილი თითქმის ერთადერთი და უდაოდ პირველი ნაბეჭდი ნაწარმოებია, რომელშიც უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზე აღწერილია სამხრეთისა და ცენტრალური აზიის ბუნება და მოსახლეობა. თუ ჩვენ შეგვიძლია კონკრეტულად მივუთითოთ ქართველების მიერ მსოფლიო გეოგრაფიულ მოგზაურობისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში შეტანილ წვლილზე, ამაში მთავარი დამსახურება რაფიელ დანიბეგშვილს ეკუთვნის.

არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს „მოგზაურობა ინდოეთში“ და მისი ავტორი რუსეთის ისტორიის თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება და ვაჭართა წრეები საშუალო საუკუნეებშივე იჩენდნენ სამეცნიერო-პრაქტიკულ ონტერესს სამხრეთ აზიისადმი და კერძოდ ინდოეთისა და ბირმისადმი. იგივე ითქმის ჩინეთის იმ პროვინციების (სინ-ძანისა და ტიბეტის) შესახებ, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება ან უახლოვდება ყოფილი რუსეთის იმპერიის მიწაწყალს. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ინდოეთი ინახულა და აღწერა ტვერელმა ვაჭარმა ათანასე ნიკიტინმა; XVII — XVIII საუკუნეებში რუსეთს მრავალჯერ გაუგზვნია ელჩები ჩინეთში (კედონდ სინ-ძანშიც) და რამოდენიმეჯერ ინდოეთში. XIX საუკუნეში, რუსეთის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობასთან დაკავშირებით, მის მმართველთა და ვაჭართა ინტერესი

სამხრეთისა და ცენტრალური აზიისადმი კიდევ უფრო გაღვივდა. ინ-
გლისის ხელისუფლება, რომელიც რუსეთის სახით მეტოქეს ხედავ-
და აზიაში, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ხელი შეეშალა
რუსეთის დაახლოებისათვის აქაურ ხალხებთან. ინგლისის ამ მიღ-
რეკილების და აგრძელების ზოგიერთი აზიელი ხალხის ფანატიზმის შე-
დეგად სამხრეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნების გაცნობა რუსე-
თისათვის გაძნელებული იყო (ცნობილია, მაგალითად, რომ დედა-
ქალაქ ლაპასაში შესვლა მოახერხა მხოლოდ ბუდისტ-მლოცველად
გადაცმულმა ბურიატმა ციბიკოვმა). ამ პირობებში რაფიელ დანი-
ბეგაშვილის წიგნს, ნაამბობს იმ ადამიანისას, რომელმაც დიდი ხანი
მოანდომა ინდოეთისა და ბირმის გაცნობას და რომელმაც საქარავ-
ნო გზებით გადაჭვეთა ინდოეთსა და რუსეთს შორის ამართული
მაღალი მთაგრეხილები ფრიად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა
რუსეთის საზოგადოებრიობისათვის სამხრეთი და ცენტრალური აზიის
გაცნობის საქმეში. დანიბეგაშვილის ცნობებს ზემოაღნიშნული ქვეყ-
ნების ბუნებრივი პირობების, მათი მოსახლეობის ყოფა-ცხოვ-
რებისა და ევროპულ კოლონიზატორებთან ურთიერთობის შესახებ
დიდი ინტერესით მოექიდებოდა. იმდროინდელი რუსეთის მოწინავე
ინტელიგენცია.

რაფიელ დანიბეგაშვილის ცხოვრება, მისი მოგონებანი აზიაში
მოგზაურობის შესახებ თვალსაჩინო რგოლია რუსეთ-საქართველოს
პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა იმ ისტორიაში, რომ-
ელიც XVI საუკუნიდან იწყება. იმისგან დამოუკიდებლად, დადას-
ტურდება თუ არა რაფიელ დანიბეგაშვილის მიერ აზიაში მოგზა-
ურობის დროს რუსეთის ხელისუფლების დავალებათა შესრულების
შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება¹, ცხადი არის ის გარე-
მოება, რომ დანიბეგშვილის წიგნი გამოხმაურებაა რუსეთის იმ-
დროინდელ პოლიტიკაზე აზიაში. წიგნში თავმოყრილი მასალის შე-
რჩევისა და ინტერბრეტაციის ხასიათი ცხადჰყოფს, რომ იგი მო-
წოდებული იყო დაექმაყოფილებინა იმპერიის მესვეურთა მოთხრო-
ვნილება აზიის ქვეყნების შესახებ ლიტერატურაზე. ვისგან შეძლე-
ბდნენ რუსეთის ხელისუფლი საიმედო და ავტორიტეტული ცნო-
ბების მიღებას ინდოეთის, ბირმის, ტიბეტის, სინ-დიანის შესახებ,
თუ არა ქართველი ვაჭრისაგან, რომელმაც ინგლისელი აღმინისტ-

¹ იბ. ჩვენი ბროშურა: XVIII საუკუნის ქართველი გოგრაფები და მოგზაუ-
რები. საქ. სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზო-
გადოების გამოცემა. თბილისი, 1954, გვ. 30.

რაციის ჰელმეტი ყურადღების მიუპყრობლად შემოიარა ეს ქვეყნები. მხოლოდ ქართველი ხალხის ტრადიციულ ურთიერთობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან და პირველ რიგში ინდოეთთან, ქართველი ვაჭრების და კერძოდ დანიბეგაშვილის მხარდაჭერას ინდოეთში მცხოვრებ ქართველ და სომებს ვაჭართა და თვით ინდოელთა მხრივ უნდა უმაღლოდეს რუსეთის სამოგზაურო ლიტერატურა ამ შესანიშნავი ნაწარმოებისათვის, მეორე მხრივ ქართული კულტურაც დიდად დავალებულია რუსეთისაგან რაფიელ დანიბეგაშვილის ბიოგრაფიული მასალებისა და მოგონებების შენახვით. დანიბეგაშვილის პიროვნება მტკიცედ დგას იმ მოღვაწეთა რიგში, რომელთაც თავისი საქმითა და სიტყვით განამტკიცეს საქართველოს მეგობრული კავშირი რუსეთის ხალხთან და მის კულტურასთან.

კიდევ ერთი რამ არის დანიბეგაშვილის ცხოვრებასთან და ნაწარმოებთან დაკავშირებით აღსანიშნავი. ეს არის ქართველი მოგზაურის სიმპატია და თანაგრძნობა აზიის, განსაკუთრებით ინდოეთისა და ბირმის ხალხებისადმი. რაფიელი აგვიწერს სამხრეთ აზიის უძველესი ცივილიზაციის შესანიშნავ ძეგლებს ბენარესის, დელის, აგრას ნაგებობებს¹, აღნიშნავს ძეგლთა შემქმნელების შთამომავლების სიყვარულს თავისუფლებისადმი და ამ თავისუფლების უხეშად გათელვას კოლონიზატორების მიერ. დანიბეგაშვილის წიგნი გამსჭვალულია იმპერიალისტური პოლიტიკის დაგმობის სულისკვეთებით და წარმოადგენს აზიის ხალხთა ურთიერთსოლიდარობის ერთერთ ლიტერატურულ საბუთს.

შესანიშნავი ქართველი მოგზაურის რაფიელ დანიბეგაშვილის ცხოვრებაში და მოღვაწეობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ სიბნელითაა მოცული და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. უცნობია მისი დაბალებისა და გარდაცვალების თარიღები და ადგილი, ოჯახი და შთამომავლობა, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ საქმიანობა და ა. შ. ერთერთ საინტერესო პრობლემას წარმოადგენს მაღრასიდან ბირმისაკენ გამგზავრების შემდეგ მის წინაშე მდგომი ამოცნები

¹ „დელი განთქმულია შესანიშნავი მიზგითებით და ულამაზესი შენობებით, რაც მასში ძალიან ბევრია,—მოგვითხრობს რ. დანიბეგაშვილი, მაგალითად, ინდოეთის დედაქალაქის შესახებ.—ყოველი მათი მეფის სასახლე მთლად ოქროთია მოჭედილი. ამ ქალაქში არის ტაძარი, რომელსაც ჯუმნა მიზგითს უწოდებენ. იგი მთლად ბაჯაღლო აქროთი არის მოჭედილი და ისეთი მაღალია, რომ 12 ვერსიდან ჩანს, ქალაქს რომ უახლოვდებით. აქვე არის პორტირის ქვისაგან ნაგები ციხე მდინარე ჯუმნას ნაპირას, იგი ისეთი ხელოვნებით არის აგებული, რომ არსად უმცირესი კუჭრუტანაც არ გააჩნია“ და ა. შ.

ქერძოდ საკითხი იშის შესახებ, დაკავშირებული იყო თუ არა რაფიელის მეორე მოგზაურობა რუსეთის ხელისუფლების დავალების შესრულებასთან).¹ ყველა ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა სათანადო მიმართულებით საბუთების ძიება საქართველოს, რუსეთისა და ინდოეთის არქივებში².


წარუშლელია ქართველი და რუსი ხალხების მეხსიერებაში სახელი რაფიელ დანიბეგაშვილისა, რომელიც სამშობლოს დავალებით 18 წლის განმავლობაში იკვლევდა შორეულ ქვეყნებს და წერდა თავის თავგადასავალს მომცრო, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნის სახით.

¹ ასეთი დავალება რ. დანიბეგაშვილს შეიძლება მიეღო ან 1799 წელს საქართველოდან მეორედ გამგზავრების წინ იმუამად აქ მყოფი რუსეთის წარმომადგენლის გრაფ ა. ა. მუსინ-პუშკინის მეშვეობით, ან კიდევ უკვე ინდოეთში. (მუსინ-პუშკინის შესახებ იხ.: М. А. Попиевктов. Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу. Тифлис, 1935).

² რ. დანიბეგაშვილი, მოგზაურობის გარდა, ინდოეთში ყოფნის დროს ადგილობრივ ადმინისტრაციასაც უწევდა სამსახურს, მაგალითად, მისივე ცნობით, იგი დელის მფლობელს დაუნიშნავს გადასახადების ამკრეფ მოხელედ ოვეში 200 რუპია ჯამაგირით. გამორიცხული არ არის ინდოეთში მისი იქ ყოფნის კვალის აღმოჩენის შესაძლებლობა.



	88.
შესავალი	3
მოგზაურობის მიზანი	6
მოგზაურობის მარშრუტი და წასიათი	11
დანიბეგაშვილის ცნობები აზის ქვეყანათა შესახებ	19
ინდოეთი	20
ბირმა	27
დასავლეთი ჩინეთი	29
რაფიელ დანიბეგაშვილის ნაშრომი და მისი მნიშვნელობა	32



(মানচিত্র পরিবহন ও উন্নয়ন বোর্ড
পরিকল্পনা মন্ত্রণালয়
১৯৭৫-১৯৮৫ খ্রি)
 চিটাগংগ হিল ট্রেচেস এন্ড রিপোর্ট
 পরিকল্পনা মন্ত্রণালয়

რედაქტორი მ. ბახუთაშვილი

ტექნიკური ა. მეგრელაძე
კორექტორი მ. ხულაძე

გამომშვები გ. აბდალაძე
გარეკანი მხატვ. ა. კანდელაკიძა

ექ 04690

ტირაჟი 3000

შეკვეთა № 1457

გადაეცა ასაწყობად 4/VII 56 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VIII-56 წ.
ანაწყობის ზომა $6 \times 9\frac{1}{2}$. ქაღალდის ზომა 60×92 . სასტამბრ ფურცელთა
რაოდენობა 2,25 საღრიცხვო ფურცელთა რაოდენობა 2,69.

ფასი 65 კპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфи-
ческой промышленности Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

ЛЕВАН ИОСИФОВИЧ МАРУАШВИЛИ

Грузинский путешественник
Рафаил Данибегашвили и его
сообщения об Индии, Бирме и Китае

(На грузинском языке)

Редактор Э. Г. БАХУТАШВИЛИ

Техредактор А. Г. Мегреладзе

Гостехиздат Грузинской ССР

„Техника да прома“

19 Тбилиси 56

91
2 341